№ 74
შაბათი, 6 აპრილი 1896

ფასი გაზეთისა:

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

# ივერია

№ 74
შაბათი, 6 აპრილი 1896

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 7 აპრილს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, სამკურნალო გამგეობის შენობაში, საპერის ქუჩაზე, მოხდება **წლიური კრება** კავკასიის ექიმთა **საიმპერატორო** საზოგადოებისა. კრების საგნები: 1) **თავმჯდომარის** სიტყვა. 2) ანგარიში **მდივნისა** საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ $189^5/_6$ წ. 3) **ნ. ვ. პარიისკის** მოხსენება თანამედროვე საქირურგიო მეცნიერების წარმატების შესახებ. 4) საბოლოო სიტყვა **თავმჯდომარისა.** კრებას არა წევრთაც შეუძლიან დაესწრონ.

(2—2)

## შემოწირულება

,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების'' სასარგებლოდ 21 აპრილისათვის დანიშნულ ლოტარია-ალეგრისათვის შემოსწირეს: 1) კნ. რუსუდან დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ—აბრეშუმის ნაკერი ხელსახოცი და სალფეტკები.

2) კნ. ნინო ზაალის ასულმა ანდრონიკაშვილისამ—ძვირფასი ჩინური ხელოვნებისა ქალალდების ჩასაწყობი ვერცხლის.

3) ნინო გრიგოლის ასულმა ნათიევისამ:—ატლასის გიდელა ხელცახოცებისათვის.

4) ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძემ—ფრაჟეს დიდი სარკე.

5) ელიზბარიშვილმა—ცხვირსახოცები და საზაფხულო საბანი.

6) ცატუროვმა ყავის სერვიზი და სამელნე.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი ამ თთვის 7 ტფილისს დაბრუნდება.

*** ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების დეპუტატების სხდომაზე 3 აპრილს დადგენილ იქმნა საგანგებო დეპუტატის პირით შუამდგომლობა აღძრან და ითხოვონ, რომ ხელმწიფის მომავალ დაგვირგვინებისა გამო საზოგადოებას მასზე დარჩენილი სახელმწიფო ნედოიმკები ეპატიოს. ნედოიმკები ამ ჟამად სულ 250 ათასი მანეთი ითვლება ხსენებულს საზოგადოებაზე.

*** ხუთშაბათს, 4 აპრილს, საღამოს ოთხ საათზე დიდ მრუდე ქუჩაზე, პოლიციის მეხუთე განყოფილებაში კაცის კვლა მოხდა. მიმავალს ამ ქუჩაზე ტფილისის ერთს ვექილს არშაკ ტერ ჯანიანცს მიეპარა უკანიდამ მის მზარეულად ნამყოფი მათოზ თუმასოვი, ოსმალეთის ქვეშევრდომი სომეხი და ექვს ალაგს მძიმედ დასჭრა დანით. დამნაშავე მაშინვე შეიპყრო პოლიციამ და დაჭრილი ტერ-ჯანიანცი-კი საავადმყოფოში გაგზავნა, სადაც მან ერთის საათის შემდეგ სული დალია. თუმასოვს, როგორც პოლიციის გამოძიებიდამ სჩანს, შურის ძიებით მოუკლავს ტერ-ჯანიანცი, გუშინ თუმასოვი სასამართლოს გამომძიებელმა ციხეში დაამწყვდია.

*** გუშინ-წინ, 4 აპრილს, ტფილისის მევეღოსიპედეთა საზოგადოების მოედნიდამ, რომელიც ვერის ხიდთან იმყოფება, ქ-ნი ოლგა დრევნიცკაია ჰაეროსტატით კარგა დიდს სიმაღლეზე, ზედმიწევნით ასე 250 საჟენზედ, შესცურდა ჰაერში და შემდეგ ჰაერში საფრენ ქოლგით დაეშვა ძირს, სატივოზე; აქ იგი მუხლებამდის წყალში ჩავარდა.

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის რკინის გზის ინჟენერი რ. ნ. ყაზიბეგი გზათა სამინისტროს VI კლასის საქმის-მწარმოებლის თანამდებობაზე გადაუყვანიათ.

*** დროებითი გამგეობა სავაჭრო ამხანაგობის ,,შუამავლისა'' გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ტფილისში დაინიშნა აგენტად არსენ ორმოცაძე და ბათუმში ივანე დავითის ძე კაკაბაძე.

*** ტფილისის პოლიციმეისტრის ანგარიშიდგან სჩანს, რომ შარშან ტფილისში 13 ფაბრიკა ყოფილა, რომლებშიაც მუშაობდა 1497 კაცი. ამ ფაბრიკების წარმოების რაოდენობა ყოფილა 1,544,029 მან. ქარხნები ტფილისში ყოფილა იმავე 1895 წლ. განმავლობაში 274, სადაც მუშაობდა 2087 კაცი. ამ ქარხნების წარმოების რაოდენობა ყოფილა 3,629,668 მან. ამგვარად სულ ფაბრიკები და ქარხნები ყოფილა 287, სადაც უმუშავნიათ 3584 კაცს და 1895 წლის განმავლობაში წარმოების რაოდენობა ყოფილა სულ 5,173,697 მან. ესე იგი ერთ მილიონამდე მეტი ამ ფაბრიკა და ქარხნების 1894 წლის განმავლობის წარმოების რაოდენობაზე.

*** ფინანსთა სამინისტროში, როგორც გვქონდა კიდეც მოხსენებული თავისს დროზე, აღიძრა საგანი, რომ კავკასიაში და ყუბანის მხარეში ქალაქის მცხოვრებლებზე საკომლო გარდასახადი მოსპობილი იქმნას და მის მაგიერად სახელმწიფო გარდასახადი შემოიღონ ქალაქის უძრავს ქონებაზე. ამის გამო გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს მოჰყავს საყურადღებო სიბ იმის შესახებ, თუ ყუბანის მხარესა, კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში ქალაქებისა, დაბებისა და სოფლების უძრავს ქონებას რამდენი გარდასახადი ჰხვდება: ტფილისის გუბერნიაში—134,000 მან., ქუთაისისაში—63,000 მ., ერევნისა და განჯისაში—29,000., ბაქოსაში—104,000 მ., დაღესტნის მხარეში—10,000 მ., ყარსისაში—7,000 მ. და ყუბანისაში—45,000 მან., ზაქათალის ოლქაში—800 მ. და შავის ზღვის პირის ოლქაში—6,000 მან.

*** ბ-ნ პოლიტიმეისტერის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ გასულს 1895 წლის განმავლობაში სულ 1112 ქორწინება ყოფილა. ამავე წლის განმავლობაში კანონიერად შობილნი ყოფილან 3939 (მათგან 2071 ვაჟი და 1868 ქალი) და უკანონოდ—183 (მათგან 89 ვაჟი და 94 ქალი) სულ დაბადებულა 4122, მათგან 2160 ვაჟი და 1962 ქალი. ამავე წლის განმავლობაში გარდაცვლილან 3102, მათგან 1787 კაცი და 1315 ქალი. ამ გვარად დაბადებულთა რიცხვი 1020 მეტი ყოფილა გარდაცვლილთა რიცხვზე.

*** ჩვენ მივიღეთ კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ გამოცემული «Труды кавказской шелководственной станціи Том. IX.—вып. 1. წიგნში მოთავსებულია, თუ როგორ იყო მოწყობილი და როგორ მოქმედებდა საფუტკრე განყოფილება კავკასიის საბრეშუმო სადგურთან 1892 წ. აწერილია ფუტკრის ცხოვრება და სხვანი მრავალნი.

*** როგორც „ს. პეტერბ. ვედ.“-ს გაუგონია, ფინანსთა სამინისტროში პროექტი შეუტანიათ, რომ შავისა და კასპის ზღვის ნავთ-სადგურები გაუმჯობესებულ იქმნან და აგრეთვე ქ. ასტრახანს საზღვაო ნავთსადგური იქმნას აშენებული.

## ფელეტონი

### პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(გუშინ და დღეს)

შემდეგი *)

აი ასე შემზადდა ახალი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ახალი მოვლენა. მეფეთა გაძლიერებამ დაჰბადა მეფეთა თვითმპყრობელობა, ხოლო თვითმპყრობელობამ—ახალი მოძღვრება, წოდებული Droit divin ე. ი. მეფე უზენაესის მიერ არის წარმოგზავნილიო. ეს დედა-აზრი პირველად პრაქტიკით განამტკიცა ლუი მე-XIV, ხოლო თეორიით მის აღმზრდელ ფილოსოფოსმა ბოსუეტმა. აი რას სწერს ბოსუეტი თავისს „La Politique tirée de l'Ecriture sainte“. „ნამდვილი მეფე არის ღმერთი. მაგრამ ის აყენებს მეფეთ, როგორც თავისს მინისტრებს და მათი საშუალებით ქვეყანას მართავს... მეფის უფლება ღვთისაგან მომდინარეობს, მეფის პიროვნება წმინდაა და მიუკარებელია (sacrè)... მეფის უფლება უსაზღვროა... ის, ვინც მეფეს არ ემორჩილება იგზავნება არა სამსჯავროს წინაშე, არამედ პირდაპირ შეუნდობლად სიკვდილით ისჯება, როგორც მტერი საზოგადო მშვიდობიანობის და ადამიანთა საზოგადოების (,,Comme l'ennemi du repos public et de la societè humaine''). „თვითმპყრობითი მთავრობა არ არის თვითნებითი (arbitraire) მთავრობა“, რადგანაც მეფე ვალდებულია იმეფოს თანახმად არსებული წესებისა, მაგრამ თუ ის თვითნებობას იჩენს „არავითარი საშუალება მის წინააღმდეგ არ არსებობს'' და სხ.

ასე აღზარდა ბოსუეტმა მომავალი მეფე. ლუი მე-XIV-მ ასე მიჰმართა თავისს შვილიშვილს: ,,თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მეფენი თვითმპყრობელი ბატონებია და, რასაკვირველია, ყოველივე, რაც საერო თუ სასულიერო წოდებას ეკუთვნის მათ მფლობელობაშია. ამავე ძალით ყოველივე, რაც-კი ჩვენს სამეფოშია ჩვენ გვეკუთვნის... გარემოება, რომელიც მეფეს იძულებულ ჰყოფს ხალხის კანონებს დაექვემდებაროს, არის უკანასკნელი უბედურება, რაიცა ოდესმე ჩვენი წრის კაცს ეწვევა... მეფე წარმოადგენს მთელს ერს, ერი ერთ მთელს არ შეადგენს, ის ერთიანად მეფეში მდგომარეობს („La nation reside tout entière dans le roi“)“. აი ასეთი შეხედულობა შემუშავდა საფრანგეთში. ლუიმ აღაშენა ვერსალი და იქ დანიშნა თავისი სამუდამო ბინა [1]). შემოიღო ეტიკეტები, ახალი ცერემონია, უსაზღვრო ფორმალისტობა და სხ. მისი სასახლე გახდა იდეალად ევროპის სასახლეებისათვის. ლუი მე-XIV-ს უწოდეს grand roi—დიდი მეფე. ბოსუეტის აზრები გავრცელდა და მეფენი ევროპისა შეიმოსნენ თვითმპყრობელობით. გერმანიის პატარა მთავრები და ერისთავებიც ლუის ბაძავდნენ. თუ კი აქამდი მეფის უფლება დამყარებული იყო ჩვეულებებზე, ახლა მან მიიღო განსაკუთრებითი წერილობითი საფუძველი და გახდა გადაუვალ კანონად.

ამგვარად, ეკონომიურ განვითარებამ აღორძინა მოქალაქობრივი ცხოვრება და სარბიელზე გამოიყვანა მესამე წოდება. ამან დაარღვია ნატურალური მეურნეობა და მით დაინგრა მასზე აშენებული ფეოდალთა ბატონობა. მის ალაგას ჩადგა ფულის მეურნეობა და ზედ აშენდა მეფეთა თვითმპყრობელობა. ახლა ჩვენ დავინახავთ თუ ეგევე პროცესი როგორ გამოაცლის ნიადაგს თვითმპყრობელობას და მესამე წოდება დასცემს არსებულ წყობილებას.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ბურჟუა და მეფე დაკავშირდნენ თავგასულ ფეოდალთა წინააღმდეგ. მაგრამ როგორც-კი მიზანი მიღწეულ იქმნა, მაშინვე იცვლება გამარჯვებული მეფის პოლიტიკა. ფეოდალები ეკონომიურად დასცა ბურჟუაზიამ, ხოლო პოლიტიკურად მეფემ. ასე მისუსტებული არსება ცხადია ვერავითარ საშიშარს წარმოადგენს და მასთან კავშირის დაჭერა გაადვილდა. მეფემ მოინდომა მისი სისხლის და ხორცის, მოწინავე წოდების. ამაღლება, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა და ხალხის წინაშე პატივცემულად გამოჩენა. ეს კი შესაძლებელი იყო სამსახურით და ჯამაგირით. ბურჟუები ხომ უკან აღარ დაუბრუნებდენ აწერილ მამულებს. მე-XVIII ს. საფრანგეთში დააკანონეს მრავალი ახალი თანამდებობა, მხოლოდ იმიტომ, რომ აზნაურებისათვის საქმე და ფული გაეჩინათ. ამას გარდა მრავალი სახელით იყო მოხელეთ და ჯამაგირს იღებდა, ხოლო საქმე-კი არაფერი ჰქონდა. ჯარში და სხვა სამსახურში უპირატესობა აზნაურთ ეჭირათ. 1781 წ. ბრძანება გამოვიდა აფიცრობა მხოლოდ ძველი გვარის აზნაურთ მიეცესო. პენსიას, საჩუქრებს, ვალის შემსუბუქებას და სხვა ასეთ „მოწყალებას“ ხომ საზღვარი არ ჰქონდა. უფრო უკეთეს პირობებში იყო სამღვდელოება. 131 ეპისკოპოზს და არხიეპისკოპოზს წელიწადში 14 მილიონი ლივრი (ფრანკი) შემოსდიოდა, მაგიერში წვრილი, სოფლის სამღვდელოება უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდა. ამას მიუმატეთ მეფის, სასახლის, ბიუროკრატიის, ჯარის და სხ. და სხ. ხარჯი [2])

საიდან მოდიოდა ამოდენა ფული? პირველი და უახლოვესი წყარო იყო ბანკირების და ფინანსისტებისაგან ვალის აღება. ხოლო ვალის გადახდის წყარო ხალხისაგან მოკრეფილი გადასახადი. ფინანსისტების ინტერესია მეტი ფული გაასესხოს და რაც შეიძლება მეტი პროცენტი აიღოს. მთავრობის ინტერესია რაც შეიძლება მეტი ფული ისესხოს და მეტი გადასახადი მოკრიფოს. ამ ნაირად: აზნაურობა, სამღვდელოება, სასახლე და ფინანსისტები—ეს იყო ერთი კავშირი ხალხის გასაყვლეფად მოვლენილი.

მრეწველი ბურჟუაზია პირველად ძვირფას საქონელს ამზადებდა არისტოკრატიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზეზით აღორძინდა ლიონის შესანიშნავი აბრეშუმის ქარხნები. მაგრამ როცა ტეხნიკა განვითარდა, სამუშაო მაშინები გაუკეთესდა, ხალხის სახმარი საქონლის კეთებაც დაიწყეს. აბა რა სასყიდელი ძალა შერჩებოდა იმ ხალხს, რომელიც ისე გაღარიბებული და გაღატაკებული იყო გადასახადების წყალობით. ამ გარემოებამ შეაფერხა ინდუსტრია, რამაც კიდევ უფრო დასცა მუშა-ხალხი. სოფლის ხალხი ქალაქებს მიაწყდა ლუკმა პურისათვის, აქ-კი სამუშაო იმდენი არ იყო. ხალხი და ბურჟუაზია, ანუ მესამე წოდება, როგორც მაშინ ეძახოდენ, კარგად ხედავდა იმ ვებერთელა სახელმწიფო შენობას, რომელიც მის

*) იხ. „ივერია“ № 73.

[1]) მანამდი საფრანგეთის მეფეს მუდმივი ბინა არ ჰქონდა, ხან ერთ და ხან მეორე ალაგას ცხოვრებდა.

[2]) დაწვრილებით ტენის: „Les origines de la France contemporaine“ და ლუი ბლანის „l'Histoirə de la Revolution francaise.“

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ. ა. ხახანოვის ახალი შრომა: ქართული ხელნაწერი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი;" გადმოწერილია იმ ხელ ნაწერიდამ, რომელიც ინახება მოსკოვში გარეშე საქმეთა სამინისტროს უმთავრესს არხივში. წიგნი მეტად საინტერესოა ყველასთვის, ვინც ჩვენს მწერლობას თვალ-ყურს ადევნებს.

⁂ ს. ქვემო-მაჩხაანი. აპრილის პირველს აქ იყო მეორე კრება ქიზიყის მეცხვარეთა, რომელთაც დაადგინეს საჭირო განაჩენები მეცხვარეთა ამხანაგობის შესადგენად. ყველა მეცხვარე გულით და სულით მოწადინებულია მის მალე განხორციელებას. სასიამოვნო სანახავი იყო კრებაზედ ზოგიერთ ცხვრის პატრონ ქიზიყელთა თავისებური, თავისუფლად მომდინარე მჭერ-მეტყველური ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი საჭირო გამომფხიზლებელი მნიშვნელობა ჰქონია, აქვს და ექმნება ქვეყნისათვის ერთობის ძალას.

⁂ სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა): მარტის ცხრას, სოფ. ნოსირის მცხოვრებმა გვარად დ—აძემ თავისი ცოლი მოჰკლა. ეს კაცი, როგორც ამბობენ, სულით ავადმყოფი ყოფილა. ქმარს ცოლისთვის შეშის საჭრელი დიდი ცული დაურტყამს თავში და იმ წამსვე სული გაუფრთხობინებია. ეს ამბავი ადგილობრივს ადმინისტრაციას აცნობეს. დამნაშავე დატყვევებულია და გამოძიება სწარმოებს.

⁂ იქიდამვე: მარტი სხვა თთვეებთან შედარებით გვარიანის ამინდებით დაგვიდგა. მართალია ხან-და-ხან მოიგიჟიანებს ხოლმე, მაგრამ ბუნებას მაინც სხვა ელფერი მიეცა. სითბოც გვარიანი დაიჭირა და საცაა მალე აჰყვავდება მინდორ-ველი.

ავადმყოფობა და კაცის სიკვდილი აქეთ ერთობ ხშირია, რადგანაც ქონებრივად მცხოვრებნი დაცემულნი არიან. სად არის, ან ვისა აქვს ექიმისა და წამლების მისაცემი ფული?

⁂ ს. თალგამო (სენაკის მაზრა): ამას წინად აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა კაცმა თავისი ღვიძლი ძმა მოჰკლა. ეს სამწუხარო ამბავი მკვლელს იმიტომ ჩაუდენია თურმე, რომ ცოლის შერთვას აპირებდა, გამეყრება და საცხოვრებელს შუა გამიყოფსო. ამ რიგად იმდენად სძლია ცოლ-ქმარი ვერცხლის მოყვარეობამ, რომ ჯერ ცული დაჰკრეს თავში, მაგრამ, რადგანაც ცულმა მალე ვერ მოუსპო საწყალს სიცოცხლე, ძალად ხელით დაარჩეს თურმე. დამნაშავე ცოლ-ქმარი ორივე შეპყრობილნი არიან. გამოძიება სწარმოებს.—მარტიდამ კარგი დარები დაიჭირა. დიდი თოვლი დადნა. ავადმყოფობამ საქმე გაგვიჭირა, უფრო-კი „ინფლუენციამ"...

## კორესპონდენცია.

**განჯა.** განჯელი ქართველობა წინ მიდის. ეს უკვე აქაურისა და სხვაგნებურებისგანაც აღიარებულია. მართალიც გახლავსთ, მაგრამ კაცმა სიკეთესთან ნაკლულევანებაც უნდა აღნიშნოს. ნაკლულევანება-კი განჯის ქართველ ოჯახებისა იხატება იმაში, რომ არა ცდილობენ მათმა შვილებმა აქაურ სავაჟო რვა-კლასიან გიმნაზიაში ქართული ენის სწავლა დაიწყონ. თუ იმას იტყვიან, რომ ჩვენი შვილების რიცხვი გიმნაზიაში ცოტა არისო, ეს ტყუილი გასამართლებელი საბუთი იქნება. ავიღოთ, მაგალითად, სხვა გიმნაზია და შევადაროთ აქაურ გიმნაზიას. 1894 წ., როგორც სტატისტიკურ ცნობებიდამ სჩანს, თბილისის მესამე გიმნაზიის უმცროსს კლასებში, (მოსამზადებელი განყოფილებიდგან დაწყებულ მეხუთემდის,) სადაც ადგილობრივ ენებს ასწავლიან, ყოფილა სულ 27 ქართველი მოწაფე. მოხსენებულ გიმნაზიაში ქართული ენა უსწავლებიათ და ასწავლიან. იმავე წელს განჯის გიმნაზიაში (უმცროსს კლასებში) ითვლებოდა 18 ქართველი მოსწავლე. ეს რიცხვი დღევანდლამდის 23-მდე იქცა. ნუ თუ 18 და 23 ისე განირჩევა 27-სგან, რომ იქ უნდა ასწავლონ ქართული ენა და აქ კი არა. მოვიყვანთ კიდევ მაგალითს. იმავე 1894 წ. ერევნის გიმნაზიაში (უმცროსს კლასებში) ითვლებოდა 11 თათრის ბავშვი მოსწავლე და ტფილისის პირველ გიმნაზიაში 25. ორთავე ამ გიმნაზიაში თათრული ენა უსწავლებიათ და ასწავლიან. სწორედ საკვირველია, რომ ტფილისში, საქართველოს დედა ქალაქის გიმნაზიაში 25 თათრის ბავშვმა უნდა თავისი დედა ენა შეისწავლოს და აქ კი, სადაც 32 ქართველი მოწაფეა (მათ შორის 23 უმცროსს კლასებში), ქართული ენის დაწყება აზრადაც არავის მოსდის. რა არის ამის მიზეზი და სად უნდა მოვნახოთ? მიზეზი დაუდევრობა გახლავსთ და მონახვით აქაურ ქართველ ოჯახებში უნდა მოვნახოთ. თუ ამას იტყვიან: ქართული ენა აქამდის არ იყო და ახლა რაღა არისო, ვერც მაგითი იმართლებენ თავსა. აქამდის ქართველი ემაწვილი თითო-ოროლა დიდლდებოდა გიმნაზიაში და ახლა-კი მათი რიცხვი 30 აღემატება, რომელიც, იმედია თანდათან იმატებს. დღეს ამ სასწავლებელში 33 თათრის მეტი არ არის, მაგრამ თათრულ ენასაკი ასწავლიან. 33 და 32 და-მმანი არიან და ამიტომ დედა-ენის შესწავლაშიაც არ უნდა განირჩეოდნენ. არა მგონია, მოწაფეთა მშობლებმა რომ მოინდომონ გიმნაზიაში ქართულ ენის შემოღება და ითხოვონ, სადაც ადგილია, ამაზედ უარი მიიღონ. მაგრამ მარტო სურვილიც არ იკმარებს. სურვილთან ცდა, ენერგიაც უნდა. სწორედ სასიამოვნო იქნება, რომ ამისთანა ქალაქში, როგორც განჯაა, სადაც მართლა ერთი მუჭა ქართველობაა, გიმნაზიაში ქართული ენის სწავლა დაიწყებოდეს. აი ამას ვთვლი აქაური ქართველების ნაკლულევანებად და ვისურვებ, რომ ამ ნაკლულევანებას წარმატებისათვის დაეთმოს ადგილი.

—სი—ლი.

1896 წ. 31 მარტი ქ. განჯა.

## ჩემი დღიური.

### IV

ხალხში თვალსაჩინოთ აღძრული სურვილი სწავლა-განათლებისა უნდა ჩაითვალოს სანუგეშო და საიმედო მოვლენად ჩვენის თანამედროვე ცხოვრებისა. ყოველი მეთვალყურე შეჰნიშნავდა, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებში ბევრსა ზრუნავენ ბიბლიოთეკისა, სამკითხველოს და სკოლის დაარსებისათვის. ხშირად ვკითხულობთ ჩვენ გაზეთებში ამბებს, თუ სად რა განზრახვა დაიბადა და როგორ მოჰყავთ სისრულეში ეს განზრახვა. ყოველივე გვარწმუნებს, რომ სურვილი დიდათ უფრო მეტია, ვიდრე სურვილის დასაკმაყოფილებელი საშუალებანი. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისათვის მაინცა და მაინც დიდი საშუალება არ არის საჭირო, მაგრამ ჩვენი ღარიბი სოფელი და დაბა მაინც ვერ ახერხებს სხვის დაუხმარებლად გაუძღვეს ამ საქმეს. ამიტომ საქმის დამწყებნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე საზოგადოებას დახმარებისათვის. საზოგადოება ისე შეეჩვია ამ თხოვნებს, რომ უმეტეს ნაწილად უყურადღებოდ სტოვებს მათ. ეს სამწუხაროა, რასაკვირველია, და რამენაირად უნდა ავიცილოთ თავიდამ, მოვაწყოთ უფრო რიგიანად დახმარების საქმე.

თავდაპირველად სოფლის მეთვალყურეთა ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ისინი ნაკლებ ენერგიას იჩენენ ამ საქმეში. განიზრახავს ვინმე თუ არა სამკითხველოს დაარსებას, მაშინვე გაზეთში თხოვნას ბეჭდავს—შეგვეწიეთ, დაგვეხმარეთო. ბევრჯელ სამკითხველოთა დაარსება შესაძლებელია ადგილობრივის საშუალებით მოხერხდეს, მაგრამ საქმის დამწყებნი ერთხელვე გატკეპნილს გზას ირჩევენ და საზოგადოებას იწვევენ დახმარებისათვის. მე თვითონ ვიცი ბევრი ისეთი სოფელი, რომლებშიაც სამკითხველოთა დაარსება ადვილი იყო და სრულიადაც არ იყო საჭირო ქველმოქმედებისათვის მიემართნათ. ვიცი აგრეთვე სოფლები, საკმაოთ მდიდარნი, რომლებშიაც სამკითხველოები დღესაც არ არსებობენ, რადგანაც სხვის დახმარებას ელიან. აი, ამ გარემოებას უნდა მიექცეს საქმის ინიციატორთა ყურადღება—საჭიროა მათ გამოიჩინონ მეტი ენერგია, ეძიონ და ადგილობრივ გამოსძებნონ სამკითხველოს დაარსებისთვის საკმაო სახსარი...

მეორე მხრით არ იქმნება ურიგო ქალაქის ინტელიგენციამაც რაიმე ორგანიზაცია შექმნას ამ საქმისთვის. ტფილისში რამდენმამე კერძო პირმა განიზრახა დაეხმაროს სოფელს სამკითხველოთა დაარსებაში. ამ საგნის განხორციელებისათვის მათ აზრად აქვთ—აგროვონ წიგნები, რათა ამგვარად შექმნან დიდი ცენტრალური ბიბლიოთეკა და აქედან შეძლებისამებრ მიაწოდონ სოფლებს. *) კარგი იქნება ამასვე განიზრახავდენ საქართველოს სხვა უმთავრეს ქალაქებშიაც. ცენტრალურ ბიბლიოთეკათა დაარსებაშიაც, რასაკვირველია, მარტო შემოწირულებაზე-კი არ უნდა დამყარდეს იმედი: არის სხვა ღონისძიება—საშუალებაც, თუ სურვილი იქნება მოფიქრებისა და გამოძებნისა.

*) შემოწირულება წიგნებით მიიღება სხვათა შორის „ივერიის" რედაქციაშიაც.

---

კისერს დასწოლოდა და ქვეყნის დიდ უმრავლესობას აუტანელ უღლად გადაქცეოდა.

ეს უღელი, რომ შეგნებული და ყველასათვის აშკარა ყოფილიყო, საჭირო შეიქმნა ადამიანთა ერთი ჯგუფი-ნასწავლი ხალხი, ანუ ინტელიგენცია.

საიდან გაჩნდა ეს ინტელიგენცია? საშუალო საუკუნოებში სწავლა-განათლების ბუდე და მეთაური იყო ეკკლესია და სამღვდელოება. როცა ვაჭრობა-მრეწველობამ ფეხი აიდგა, აუცილებელი შეიქმნა მცოდნე პირები ახალი საქმის რიგიანად წასაყვანად. ამიტომ ქალაქებში იხსნება სასწავლებლები, სადაც ასწავლიან არა მარტო სამხვთო წერილს, არამედ ყველა ცხოვრებაში გამოსაყენებელ საგნებს. ამით განათლების საქმე მოშორდა სასულიერო წოდებას და ჩაპარდა საერო პირთ. სწავლა გაქალაქდა. სანამ სამოქალაქო ასპარეზი ვიწროა, მანამ ნასწავლნი სახელმწიფო სამსახურს ეტანებიან. მაშასადამე ინტელიგენტი, როგორც მოხელე, ძალა-უნებურად არსებული წყობილების მონა-მორჩილია. მაგრამ როცა ცხოვრება ფართოვდება, ბურჟუაზია ვითარდება, სამოქმედო ასპარეზი განიერდება, ერის შრომა ნაყოფიერდება და სიმდიდრე მატულობს, მაშინ ინტელიგენტიც ადვილად ჰპოულობს კერძო სამსახურს და სახელმწიფო მოხელეობას შორდება. მისი მდგომარეობა დამოკიდებულია არა ბიუროკრატიისაგან, არამედ პირდაპირ საზოგადოებისაგან. (მაგ. ექიმები, ადვოკატები, ინჟინერები, მწერლები, ტეხნიკები, ქიმიკები და სხ.) აი ეს კლასი შეიქმნა უკმაყოფილო მესამე წოდების მოთავედ და გზის მაჩვენებლად.

ასე ბუნებრივად შემზადდა წინააღმდეგობა ხალხის და არისტოკრატიულ-მონარქიულ წყობილების შორის. ამ წინააღმდეგობის გამოაშკარავება, ბრძოლის დაწყება მხოლოდ დრო და შემთხვევის საქმეა. სხვა-და-სხვა სახელმწიფოში ეს დრო და შემთხვევა სხვა-და-სხვა იყო. ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო თავი ისახელა საფრანგეთმა. ერმა, რომელმაც დაჰბადა ბოსუეტი და ლუი მე-XIV, დაჰბადა რობესპიერი, დანტონი და რესპუბლიკა. ბოსუეტის აზრები ზემოთ მოვიხსენეთ, ახლა მოვიხსენოთ რობესპიერის და დანტონის აზრებიც. 1789 წ. მათი ხელმძღვანელობით პარიჟის რევოლიუციონურ მთავრობამ გამოსცა სახელოვანი „La Déclaration des droits de l'homme et du citoyen"—დეკლარაცია „(აღიარება) ადამიანის და მოქალაქის უფლებათა". აი რამდენიმე მუხლი:

„ადამიანნი იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი დ უფლებებით თანასწორნი".

„უფლებები ნიშნავენ თავისუფლებას, საკუთრებას, ხელ-შეუხებლობას და დაჩაგვრის წინააღმდეგობას".

„მხოლოდ ერი წარმოადგენს თვითმყრობელ ძალას".

„კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატულება. თვითეული მოქალაქე ვალდებულია პირადად ან თავისი წარმომადგენლით კანონის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს. კანონი ყველასათვის ერთია. „არავისი დაჭერა, დატყვევება გასამართლება არ შეიძლება, თუ კანონით წინდაწინ გარკვეული და ნება-დართული არ არის"[3]).

„თვითეულ მოქალაქეს შეუძლია სრულიათ თავისუფლად ლაპარაკი, წერა და ბეჭდვა".

„გადასახადი უნდა განაწილდეს ყველა მოქალაქეს შორის თანახმად შეძლებისა და მდგომარეობისა" და სხ.

ერთის სიტყვით, დიდი რევოლიუციის პრინციპია: თვითმყრობელი და ბატონი მხოლოდ ერია, მისი წევრნი უფლებით თანასწორია, თვითეული თავისუფალი მოქალაქეა. ამაებს ვერავითარი მთავრობა ვერ დაარღვევს. მოკლედ გამოხატეს სამ სიტყვაში:—თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

[3]) აქ, რასაკვირველია, კაცის მოკვლაზე და ისეთ დანაშაულობაზე, სადაც პოლიციის ჩარევა მაშინვე საჭიროა, ლაპარაკი არ არის. ეს სხვა მუხლშია გარკვეული და ჩვენ აქ ყველას ვერ მოვიყვანთ.—მოქალაქე ნიშნავს არა მარტო ქალაქში მცხოვრებს, არამედ სოფლელსაც. რევოლიუციამ ეს სახელწოდება ყველას ერთიანად არგუნა, რაც დღემდის დარჩა.

აი ეს მუხლები შეადგენენ დღეს ქვაკუთხედს დასავლეთი ევროპისას. ქვეყნის მართვა-გამგეობა, პოლიტიკა, სასახლეებიდან, კარჩაკეტილ კაბინეტებიდან გადმოსქდა მთელ ერში და ქვეყანა მორწყა. პოლიტიკა ჩამოერთვა ერთს და გადაეცა ყველას. ის დადის ქუჩებში, ყავა-ხანებში, დარბაზებში, ყრილობებში, მწერლობაში—ყველგან, ას დღეს არავის საკუთრებას, არავის საიდუმლოებას არ შეადგენს. პოლიტიკა ეკუთვნის მთელ ერს, მთელი ერი ეკუთვნის პოლიტიკას. ეროვნული ცხოვრება განუყრელია პოლიტიკური ცხოვრებიდან. ბოლიტიკური ცხოვრება—ეროვნულიდან. ამათი განაწილება თვით ერის სიკვდილს მოასწავებს. ამათ შეერთებამ, შეკავშირებამ მოგვცა ის, რასაც დღეს ევროპაში ვხედავთ: ერთი ხალხი, ერთი ერი, ერთი ბატონი და თავისთავის პატრონი.

მოკლედ, აი რანაირი საისტორიო გზა გაიარა ევროპამ: მოქალაქობრივ განვითარებამ პირველად, დასცა მრავალთ ბატონობა (ფეოდალთ) და მათ მაგიერ განამტკიცა ერთის ბატონობა (მეფის) მეორედ, მანვე დასცა ამ ერთის ბატონობა და მის მაგიერ განამტკიცა ყველას ბატონობა. თვითმყრობელი ძალა მეფიდან გადავიდა ერში. ერი გახდა თავის თავის ბტონი და მმართველი. მეფობა ზოგან მოისპო, ზოგან მისი უფლებები ხალხის უფლებებით შეიზღუდა. მეფის სასახლეს გვერდში მიუდგეს მეორე სასახლე, რომელსაც პარლამენტი ეწოდება და სადაც ხალხის წარმომადგენელნი სხედან. ყველგან ასეთი ცვლილება, ერთი ხანიდან მეორე ხანაში გადასვლა აჯანყებით და სისხლის ღვრით მოხდა. ევოლიუცია დასრულდა რევოლიუციით.

თუმცა ასეთია დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების საზოგადო მიზეზები, მაგრამ აქედამ სრულიად არ გამოდის—ყველა ერი ერთნაირად განვითარებულიყოს, თანასწორი გზა გაეკეთებიოს. ყველა ერმა გააკეთა საზოგადოდ ერთი და იგივე, მაგრამ ამასთანავე თვითოეულმა თანახმად თავისი საკუთარი გეოგრაფიულის, კლიმატიურის და ისტორიული პირობებისა. ამით ყველამ თავისი პირადობა შეინახა, ნაციონალური თვისებები განავითარა, საკუთარი გზა-კვალი შეიმუშავა. ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია—აი განვითარების სამი სხვა-და-სხვა სახე. პირველი უფრო თანდათანი გზით მოძრაობს, მეორე რევოლიუციონურად, ხოლო მესამე... და სწორედ ამის თქმა ასე ადვილი არ არის. ახლა შევუდგებით გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების გარკვევას. განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ პრუსიას, ვინაიდგან ის, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად მთელ გერმანიას მეთაურობს. გერმანია პრუსიაში გაჰქრა—თუ შეიძლება ასე ითქვას.

ნ. ჟ—ნია,

(შემდეგი იქნება).

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ უტყუარს ფაქტს, რომ დიდძალი ჩვენი სოფლები იმდენად ღარიბნი არიან, რომ დაუხმარებლად ვერ გაიჩენენ წიგნთ-საცავებს და აგრეთვე, თუ არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ რაგინდ იდეალურად წავიდეს ცენტრალურ წიგნთ-საცავების დაარსების საქმე, ისინი მაინც ვერ დააკმაყოფილებენ დიდ მოთხოვნილებას, მაშინ საჭიროა სხვა ღონისძიებასაც მივმართოთ. მაგალითად, დაწინაურებულს ქვეყნებში დიდს სამსახურს უწევენ ხალხს ეგრედ წოდებულნი მოძრავი ბიბლიოთეკანი. თუ მეტს ენერგიასა და გულშემატკივრობას გამოიჩენს ჩვენი საზოგადოება, შესაძლებელია დაარსდეს ქალაქებში რამდენიმე ბიბლიოთეკა, რომელთაგან თითოეულს გაგზავნიან ერთ-ერთ სოფელში, რამდენიმე თვის შემდეგ გადიტანენ მეორეში, მესამეში...

ყოველივე, რაც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ, არ არის ისეთი ძნელი, შეუსრულებელი-რამ, რომ კაცმა უნაყოფო ფანტაზიად და უტოპიად მიიჩნიოს, მაგრამ ვინ იცის: შეიძლება ჩვენის დაუძლურებულ ინტელიგენციისათვის მართლაც ასე იყოს!.

გიგი

# უცხოეთი

—

**კორე.** „ფრანკფურტისა“ და „ფოსსოვას“ გაზეთებს მიუღიათ დაწვრილებითი ამბავი კორეს მეფის რუსეთის საელჩოში დამალვის შესახებ.

იმ დღეს აქეთ, რაც კორეს დედოფალი მოჰკლეს, მხარეს განაგებდა იაპონიის მომხრე სამინისტრო, მეფე-კი ამ მინისტრების ხელ-ქვეითი გახდა. თანაც მეფის სიცოცხლე საშიშარ მდგომარეობაში იყო, რადგან მისი მოკვლის განმზრახველები დღითი-დღე მატულობდნენ. 11 თებერვალს სეულში მივიდა რუსეთის საელჩოს დასაცველად ჯარი. ასეთივე ჯარი გამოიწვია გერმანიისა, ინგლისისა და ამერიკის საელჩოებმაც. ამავე დღეს რუსეთის საელჩოსთან გაჩერდა დახურული ეტლი, რომლიდამაც გადმოვიდა მეფე თავისი შვილითა და დედით. იგინი დააყენეს ცალკე მათთვის აშენებულს შენობაში; შესავალსა და გამოსავალს კარებთან იდგნენ რუსის დარაჯები. სამი დღის შემდეგ მეფემ მიიპატიჟა ყველა ელჩები და განუცხადა მათ, სახელმწიფო ბეჭედი მომპარეს მინისტრებმა და ჩემის სურვილის წინააღმდეგ ბრძანებებს აცხადებენ: მაგ. ნაწნავების შეჭრა, ნაციონალური ქუდების გამოცვლა და სხვ. ამგვარი მოქმედებით მათ სურდა ხალხი აეჯანყებინათ ჩემს წინააღმდეგ. ამიტომაც ორმა ამერიკელმა, რომელსაც ენდობოდა მეფე, დაიწყეს მზადება მეფის გასაპარებლად. გასცეს ბრძანება, რომ ყოველდღე სასახლიდამ დახურული ეტლით წაიყვანონ გარემის ქალები. იაპონელები ისე მიეჩვივნენ ამ ეტლის მიმოსვლას სასახლესთან, რომ იმ დღესაც არ მიაქციეს ყურადღება, როცა დახურული ეტლი მიაქანებდა ქალურად ჩაცმულს მეფეს თავისი სახლობით რუსეთის საელჩოსაკენ. იმავე დროს 40 დაახლოებული მოსამსახურე მეფისა, კედლებიდამ გადაძვრენ და რუსეთის საელჩოში დაიმალენ. რამდენიმე საათი გავიდა ისე, რომ იაპონელებს არა გაუგიათ-რა; როცა გაიგეს დეპეშით უნდოდათ შეეტყობინებიათ მთავრობისთვის, მაგრამ ტელეგრაფის ბოძები დათხრილი იყო, და დასჭირდათ ორი დღის სავალზედ წასვლა დეპეშის გასაგზავნად. მეფემ აუწყა თავისს ქვეშევრდომებს, რომ მოკვლას მიპირებდნენ და იმიტომ დავიმალე რუსეთის საელჩოში. ჩემიო მინისტრები შეიპყარით და მოჰკალითო. კორეელებზედ მეფის ბრძანებამ გავლენა იქონია, დაიჭირეს მთავარ მინისტრი, სამიწათ-მოქმედო მინისტრი და მოჰკლეს. სხვები-კი დაიმალნენ. ხალხს უნდოდა აჯანყებულიყო იაპონელთა წინააღმდეგ, მაგრამ მეფემ უბრძანა დამშვიდდითო და იმითაც აღასრულეს მეფის ბრძანება.

**კუბა.** პარისის გაზ. „სუარ“-ში საყურადღებო კორესპონდენციაა დაბეჭდილი. კორესპონდენცია კუბის საქმეებს შეეხება. „ომმა საზარელი ულმობელი ხასიათი მიიღო,— სწერს კორესპონდენტი; ასეთი ხასიათი მარშალ კამპოსის დროს სრულიადაც არა ჰქონია. საპატიმროები კუბის მცხოვრებლებით მთლად სავსეა, რომელთა შესახებაც მხოლოდ ეჭვი ჰქონდათ, რომ იგინი აჯანყებულთა მომხრენი იყვნენ. ისპანიაში გემი გემზედ იგზავნება დატვირთული იმ ხალხით, რომელთათვისაც მთავრობას საიდუმლოდ გადასახლება მიუსაჯნია. მართალია გენერალს ვეილერს ჯერ არავინ დაუხვრეტინებია შიგ ქალაქში, მაგრამ ჯარის კაცებს ნება დაჰრთო უწყალოდ დახვრიტონ ყველა ის გლეხები, რომლებიც-კი აჯანყებულთა ნაცნობები აღმოჩნდებიან. ეს საბრალონი შემდეგ იმ აჯანყებულთა სიაში შეაქვთ, რომლებიც ბრძოლის ველზედ იქმნენ დახოცილნი. ამის გამო კუნძულის მცხოვრებთ შიშისაგან აღარ იციან რა ჰქნან. მრავალი აქაური მცხოვრები ტყეში მირბის, რომ იქ როგორმე დაიფაროს თავი. წარსულს კვირას 42 ახალგაზრდა ყმაწვილი კაცები, რომლებიც საუკეთესო გვარეულობას ეკუთვნოდნენ გავანნაში, აჯანყებულთა წინამძღოლს მასეოს შეუერთდნენ. ორის კვირის წინად გუბერნატორმა ყური მოჰკრა, რომ აჯანყებულნი გვატაოს მოვიდნენ და იქ არიანო. გუბერნატორმა მაშინვე ჯარი გაჰგზავნა, მაგრამ ვიდრე მივიდოდნენ, აჯანყებულნი უკვე წასულიყვნენ. მაშინ ისპანელნი ადგილობრივ მცხოვრებთ დაესხნენ თავს და 23 კაცი მოჰკლეს. ისპანელნი არავის არ ინდობდნენ თურმე, არც მოხუცთ, არც ავადმყოფთ. კაზიგუასში, რომელიც სატახტო ქალაქიდამ 126 ვერსის მანძილზე დაშორებულია, თავისუფალ მეომართა ერთი რაზმი მივიდა ერთ ამერიკელ მოქალაქის ფერმაში და ექვსი მისი შვილი თოფით დახვრიტეს, რატომ გამოსცა ასეთი გარდაწყვეტილება ამერიკის კონგრესმაო და სხ... გაზეთები მხოლოდ სიცრუვეს სწერენ. არ შეიძლება ყველა მართალი იყოს, რასაც მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ სწერენ ორივე მხრიდამ. მართალია ის, რომ კუნძული ცუდსა და საცოდავს მდგომარეობაშია და მრავალს ხალხს ასახლებენ ნიუიორკსა, იამაიკასა, პორტორიკოსა, ფლორიდასა და მექსიკაში.

## რას ჰკითხულობს ხალხი საზღვარ-გარეთ.

უცხოეთში სახალხო სამკითხველოთა და წიგნთ-საცავთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, დღითი დღე მატულობს აგრეთვე რიცხვი მკითხველთა. ამიტომაც სახალხო სამკითხველოები ეხლა მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო იარაღად ხალხში განათლების გასავრცელებლად. ვენის სახალხო სამკითხველოთა ანგარიშიდამ სჩანს, რომ იქ 600,000, სხვა-და-სხვა წიგნია მოთხოვილი და ყოველ წელიწადში ამ რიცხვს ემატება 100,000 მოთხოვნილება. ძალიან გავრცელებულია სახალხო ბიბლიოთეკები გერმანიაში და ავსტრიაში და დამაარსებელნი დიდძალ ფულსა სწირვენ მათ დასაარსებლად.

უმეტეს ნაწილად კითხულობენ რომანებსა და მოთხრობებს, ნახევარი წაკითხულ წიგნთა უთუოდ რომანები არის, შემდეგ ყრმათათვის საკითხავ წიგნს ჰყავს მრავალი მკითხველი, ას წაკითხულ წიგნში ოცი უთუოდ ყრმათათვის საკითხავი იქმნება, ასში მარტო ხუთი თუ გაერევა დრამატიული ნაწარმოები და პოეზია.

სამეცნიერო წიგნებიდამ ისტორიულ წიგნებს თხოულობენ ასზე ხუთიდამ—რვამდის, გეოგრაფიისა და მოგზაურობის წიგნებს ასზე სამიდამ—ხუთამდის და ბუნებითი მეცნიერების წიგნებს ასზე სამს. რაც არ უნდა ეცადონ წიგნთ-საცავების მმართველები, მოთხრობებს მაინც უფრო ბევრი მკითხველი ჰყავს. წიგნთ-საცავში, რომ 100,000 სამეცნიერო წიგნი იყოს და 20,000 სიტყვა-კაზმული მწერლობის ნაწარმოები, მაინც რომანებსა და მოთხრობებს უფრო მეტი მომთხოვნელები ეყოლება. ამერიკის ქალაქ ბოსტონის წიგნთ-საცავის ანგარიშიდამ სჩანს, რომ 200,000 მოთხოვნილებიდამ, კუპერის ნაწარმოებები 5,460 ჯერ იყო მოთხოვნილი, დიკკენსისა—4,000, ვალტერსკოტის 2,660, ტეკკერეი—1,300 შექსპირი—550, გეტე 338, შილლერი 262, ტენნისონი 120-ჯერ. ინგლისელები მარტო თავის მწერლების ნაწარმოებს კითხულობენ, გერმანიის მწერლებიდამ გეტესა და შილლერს თუ კითხულობენ, საფრანგეთის რომანისტებს-კი თითქმის სრულიად არ თხოულობენ. წინააღმდეგ გერმანიაში ინგლისური ლიტერატურის ნაწარმოებს არ ეტანებიან და სამაგიეროდ ფრანგულ რომანებს ბევრი თაყვანის მცემელი ჰყავს. ვენაში და პრაგაში ყველაზედ უფრო ბევრჯერ მოუთხოვიათ დიუმას, (მამის) იოკაის, მარლიცის, ონეს, ჟიულვერნისა და ვერნერის ნაწარმოებები. დიუმას ნაწარმოებიდამ „მონტე კრისტოსა“ და „მუშკეტერებს“ უფრო ბევრი მკითხველი ჰყავს. საინტერესო ის არის, რომ როგორც შეუმჩნევიათ, რამდენადაც სახალხო ბიბლიოთეკები მატულობს, იმდენზედ წიგნები იაფდება და მწერლებს-კი უფრო მეტს ფასს აძლევენ მათ ნაწარმოებში; წინააღმდეგ, თუ რომელიმე მხარეში სახალხო ბიბლიოთეკებთა რიცხვი მცირეა, წიგნებს დიდი ფასი აქვთ და მწერლებსაც-კი მათი შრომის ჯილდოს ცოტას აძლევენ. ერთი ცუდი თვისება აქვთ გერმანიის სახალხო წიგნთ-საცავებს: დამაარსებელი წიგნთ-საცავისა იმ წიგნებით ავსებს მას, რომელიც მისი პარტიული გემოს დამაკმაყოფილებელია, ხალხი-კი გაურბის ასეთს წიგნთ-საცავებს. შეუძლებელია ხალხს დააძალო იმის წაკითხვა, რაც არ მოსწონს მას.

## საჭირო ცნობა

—

რადგანაც ეხლა ხშირად აარსებენ ჩვენში სახალხო უფასო სამკითხველოებს და რადგანაც ხშირად გვეკითხებიან, თუ როგორ უნდა დავაარსოთ ეს სამკითხველოებიო, ამიტომ საჭიროდ მივაჩნია გავაცნოთ მკითხველებს იმ კანონთა მუხლები, რომელნიც 1890 წელში გამოიცა და რომელნიც სახალხო სამკითხველოებს ეხება.

სახალხო უფასო სამკითხველოების დაარსება შეუძლიანთ:

1) ყოველივე საზოგადო და წოდებრივს დაწესებულებას, ქალაქის საბჭოს, ქალაქის შემოკლებულ თვითმართველობას, სასოფლო ყრილობას, სათავად-აზნაურო კრებას, ხელოსანთა გამგეობათ.

2) ყოველგვარ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, სიფხიზლის დამცველ ზოგადოებას, სამეურნეო საზოგადოებას, ხალხში წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, სახალხო კითხვების გამმართველს კომისსიებს.

3) სავაჭრო და სამრეწველო სახლებს, ამხანაგობას და კომპანიებს მაგ. რკინის გზის გამგეობას, ფაბრიკის და ქარხნების გამგეობას, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს, მხმარებელს საზოგადოებებს.

4.) ყოველივე კერძო პირს, სათითაოდ და ამ აზრით ამხანაგობებად და საზოგადოებებად შეკავშირებულებს.

5) სასულიერო დაწესებულებათ, მაგ. ეკკლესიებს, სამრევლო-საეკლესიო სამზრუნველოებს, ძმობათა და სხვ.

II სახალხო სამკითხველოს დაარსება 1,2,3,4 მუხლში მოხსენებულმა პირებმა უნდა სთხოვონ ადგილობრივ გუბერნიის უფროსს, ხოლო მე 5-ე მუხლში მოხსენებულებმა მათი ეპარქიის ეპისკოპოსს.

III ვისაც უნდა მიიღოს უფასო წიგთ-საცავების გამართვის ნებართვა, შემდეგი პირობები უნდა აღასრულონ:

1) უნდა წარადგინონ წესდების პროექტი, რომელიც ეთანხმებოდეს 1890 წლ. 15 მაისში გამოცემულს კანონებს.

2) უნდა აღნიშნონ სადა სურთ წიგნთ-საცავის დაარსება.

3) უნდა აღნიშნონ, ვინ იქნება პასუხის მგებელი მთავრობის წინაშე. ამგვარ პირად შეუძლიათ დასახონ ან თვით დამფუძნებელი ანა და სხვა, მაგრამ ისეთი-კი, რომ მმართებლობისთვის სანდო პირი იყოს.

4) აღნიშნონ რა საშუალება ექმნება წიგნთ-საცავს (სამკითხველოს), რომ მომავალშიაც უზრუნველ იყოს იგი. თუ ბიბლიოთეკას დააარსებს, რომელიმე საზოგადო ანუ წოდებრივი დაწესებულება, მაშინ საკმარისია მარტო მათი დადგენილება.

სასოფლო ყრილობას შეუძლია დანიშნოს ბიბლიოთეკისათვის საზოგადო თანხიდამ ფული, თუ წიგნთ-საცავი დაარსებულია სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობისაგან და ან კერძო პირისაგან, და მათ პირობაში მოხსენებულია, რომ დრო გამოშვებით იგინი ამდენსა და ამდენს ფულს შეიტანებენ, რათა წიგნთ-საცავი მომავალში უზრუნველ ჰყონ, ეს სრულიად საკმარისია. სრულიად საკმაოა აგრეთვე, თუ დამაარსებელი ერთავად შეიტანს იმდენს ფულს, რომელიც ეყოფა წიგნთ-საცავს.

IV სახალხო უფასო სამკითხველოები დაარსდებიან, ან იმ აზრით, რომ მსურველს წიგნები გაატანონ სახლში საკითხავად, ან თვით წიგნთ-საცავის სადგურში აკითხონ. შესაძლებელია აგრეთვე სახალხო სამკითხველოებს ორივე ეს აზრი ჰქონდეთ.

V. იმ თხოვნაზედ, რომელსაც მიართმევენ გუბერნიის მმართველს, უნდა ეკრას ორი ოთხ-აბაზიანი მარკა.

თუ სამკითხველოს დაარსება ითავა რომელიმე საზოგადოებამ, მაშინ ამ თხოვნასთან ერთად უნდა წარედგინოს გუბერნიის მმართველს საზოგადოების (საქალაქო საბჭოს, სასოფლო ყრილობის, საქველ-მოქმედო საზოგადოების) გარდაწყვეტილების კოპიოც.

## მცირე შენიშვნა.

—

(ქართული სცენის მოყვარეთა საყურადღებოდ).

ყველამ ვიცით, თუ რა დიდი ზარალი მისცა შარშანდელმა წყალდიდობამ და წრევანდელმა დიდმა ზამთარმა მთელს საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთ მხარესა. ამიტომ ყოველი ჩვენგანი ზნეობრივად მოვალეა, ცოტად თუ ბევრად გაჭირვებულებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ. მთავრობაც, როგორც ვხედავთ, დაზარალებულებისთვის შემწეობას იძლევა, მაგრამ ეს არა კმარა. საჭიროა ჩვენც შეძლებისადაგვარად ხელი გავანძრიოთ. ამიტომ, ჩემის აზრით, კარგს შემწეობას აღმოუჩენდით, თუ მათ სასარგებლოდ დაბა-სოფლად წარმოდგენები გაგვემართნა, მით უმეტეს, რომ ღვთის მადლით პროვინციებში არიან ისეთი პირები, რომლებსაც კარგად შეუძლიანთ წარმოდგენების გამართვა და არა ერთხელ უთამაშნიათ.. ამიტომ ფრიად სასურველია, ჩვენის ქართულ სცენის მოყვარეებმა პროვინციებში გამართონ წარმოდგენები... ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ახალსენაკის ქართულ სცენის მოყვარეებში ამ საქმისათვის მართვენ წარმოდგენას. იმედია ახალ-სენაკის საზოგადოება ამ წარმოდგენას ბლომად დაესწრება.

ტ. კ—ლი.

2 აპრილს, 1896 წ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გურიის სავაჭრო ამხანაგობა „შუამავალი“ და ბ. ალ. თოიძე.

(დასასრული *)

საქმე ის არის, რომ საზოგადოდ ვაჭრის და ვაჭრობის ინტერესი თხოულობს, რომ ერთი ვაჭარი, ვინც უნდა იყოს იგი (გურულობა აქ არაფერს უშველის, ბ. თოიძევ) მეორე ვაჭარს ებრძვის დაფარულის,

*) იხ. «ივერია» № 73.

მაგრამ სასტიკის ბრძოლით. ამის შედეგს ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხედავთ; ვხედავთ, რომ ერთი ვაჭარი იღუპება, კოტრდება და მეორე-კი მისი ქონებით მდიდრდება. ამნაირია წესი აწინდელი ეკონომიური ურთიერთობისა. აქ ცხოვრება ერთ დონეზე არ არის გაყინული; ის მუდამ მოძრაობაშია მით, რომ აქ ერთი უთმობს ალაგს მეორეს იმიტომ, რომ მან თითონ იგივე ალაგი სხვას დაუთმოს და ასე ამნაირად დღევანდელი ღარიბი ხვალ მდიდარია და პირიქით: დღევანდელი მდიდარი ხვალ ღარიბია. ეს არის აუცილებელი კანონი თანამედროვე ცხოვრებისა. ამის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შეიცვლება ძირიანად აწინდელი ეკონომიური წყობილება. ბ. თოიძეს კი სულ სხვა ნაირად ჰგონია. იგი ფიქრობს, რომ აწინდელი ვაჭრები მუდამ ვაჭრები იქნებიან, რომ ვაჭრობა მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზე ისე, როგორც საშუალო საუკუნოებში, ფეოდალური წესწყობილების მეფობის დროს, მაგალ., სხვა-და-სხვა ტიტულებთან ერთად უძრავ-მოძრავი ქონებაც გადადიოდა ერთიდამ მეორეზე. და განა პრაქტიკულად ეს ბ. თოიძემ კარგად არ იცის? თუმცა-ღა ისიც მართალია, რომ ყველა ჩვენ ისე გართული ვართ ერთი მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ, თუ კარგად არ ჩავუკვირდით, ვერც კი ვამჩნევთ ამას; ეს ბრძოლა გამდგარია ჩვენს ძვალსა და რბილში; უიმისოდ არაფერი არა ჰხდება. მაგრამ სადაც ბრძოლაა, იქ უსათუოდ უნდა იყვნენ, ერთის მხრით, გამარჯვებულნი, და მეორეს მხრით-კი დამარცხებულნი. ჩვენ აქ ერთი უნდა ვიკითხოთ: რომელ რიცხვშია თვით ბ. თოიძე? დამარცხებულებში? ჩვენ ეს არა გვგონია; და თუ გამარჯვებულებში, მაშ თვითონ მასაც არა ერთი და ორი დაუმარცხებია... მაგრამ ნუ თუ გურულობა, მეზობლობა, რამეს უშველის კაცს ამ სამტრო-სასიკოცხლო ბრძოლაში? საქმეც ის არის, რომ ყველაზედ წინ ეს ახლობელი მეზობელი უნდა დაამარცხოთ და ადგილი, პოზიცია, გაიმაგროთ. ამნაირია ბრძოლის ტაქტიკა ეკონომიურ ნიადაგზედაც. ამიტომაც ოზურგეთელ ვაჭარმა თავდაპირველად ოზურგეთელსავე ვაჭარს უნდა ეომოს და იგი დაამარცხოს, რომ შემდეგ შორეულ ვაჭართანაც გაიწვდინოს ხელი.

ამისათვის რაღა მარტო ჩვენი ამხანაგობა მიაჩნია ბ. თოიძეს საბრძოლველად და არა თვით ვაჭრის არსებობა? გაქექილს გატეხილი ჰჯობიაო, ნათქვამია: ჩვენ ამ შემთხვევაში, არავისთვის ნუგეშის ცემა არ გვინდა. ჩვენი ამხანაგობა, რასაკვირველია, თავის ადგილს დაიჭერს ამ ბრძოლაში, და მის ერთს დროშაზედ, სხვათა შორის, იქნება დაწერილი: შატიოსანი აღებ-მიცემობა. თუ ვინმე ვაჭართაგანი ამ ბრძოლაში დამარცხდება, „შუამავლის“ ამხანაგობის ბრალი ეს სრულებით არ იქნება.

მაგრამ ერთს წუთს დავეთანხმოთ, მკითხველო, ბ. თოიძეს და წარმოვიდგინოთ, რომ ერთს მშვენიერს დილას „შუამავლის“ ამხანაგობამ გაიმარჯვა და ყველა ოზურგეთელი ვაჭრები დამარცხდენ, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია. რის მომასწავებელი და ან რა სასარგებლო იქნება ხალხისათვის ჩვენი ამხანაგობის გამარჯვება, ეს სულ სხვა კითხვაა. საშვილიშვილოდ დამტკიცებული ვაჭრობის ხელობა, როგორც ვიცით, არავის არ აქვს ჩვენს დროში; და მეორეს მხრით, თუ ამხანაგობამ გაიმარჯვა, ეს იგივე გურულების გამარჯვება არ იქნება, რადგანაც თვით ამხანაგობა გურულებიდგან შესდგება? ამ მხრივ არც თვით ბ. თოიძეს ეთქმის რამე, რადგანაც იგი იცავს ოზურგეთელ ვაჭრებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელები გურულები არიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო ის უნდა ვიქონიოთ სახეში, თუ რა აღმზრდელობითი და საზოგადოდ სასარგებლო შედეგი ექნება ამ საქმის აღორძინებას. დარწმუნდით, ბ. თოიძევ, რომ საშიში აქ არა არის რა, და ამ საქმეს შეუშინდება მხოლოდ ის, ვინც თავის ცხვირის იქით არარაფერს აღარ ხედავს.

ამნაირი მოკლე ფეხებიანია, მკითხველო, ბ. თოიძის „რწმენა“, და გასაკვირველიც იქნება, რომ ეს ასე არ იყოს; მაგრამ უფრო გასაკვირველი ის არის, რომ მახინჯ და უკუღმართ «რწმენას» რიხიანის კილოთი მოგვაწვდის ბ. თოიძე, როგორც დიდი გამოცდილი ვინმე. როცა ჩვენ ბ. თოიძის წერილების შესახებ საუბარი ჩამოვაგდეთ, ჩვენ სახეში გვქონდა, უმთავრესად, დაგვენახვებინა მკითხველისათვის შემდეგი: ერთის მხრით ის, თუ რამდენად უკუღმართია ბ. თოიძის „რწმენა“ და, მეორეს მხრით, თუ რამდენად საფუძვლიანად შეფიშმანდენ ზოგიერთები, უმეტესად-კი იგინი, ვინც ვაჭრობის და მოგების გზას ადგანან ჩვენი ამხანაგობის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველამ, უჩვენოდაც, ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა მკითხველმა კარგად იცის ის, რაც ჩვენ ვსთქვით აქ ბ. თოიძის „რწმენის“ შესახებ. ჩვენი წადილია მხოლოდ, რომ ამნაირმა უკუღმართმა „რწმენამ“ არსად მოიკიდოს ფესვი; ვუსურვოთ გამარჯვება ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმეს.

დ. კალანდარიშვილი.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი თურქესტანიშვილნი. უმაღლესს ბრძანებაში, 28 სექტემბერს 1722 წელს, მეფე ვახტანგ ლევანის ძესთან ერთად საქართველოდამ წასული ბორის პანკრატის ძე თურქესტანიშვილი თავადად არის წოდებული.

18 ივნისს 1856 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და მე-V-ე გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან კაპიტანი ნიკოლოზ ვასილის ძე თურქესტანიშვილი და შვილნი მისნი: თევდორე, ნიკოლოზ, ივანე, პეტრე, ალექსანდრე, იაგორ, სოფიო და ეკდოკია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზ. „ივერიი“-ს შემწეობით გამოვუცხადო ჩემი გულითადი მადლობა ბ-ნს ლავრენტი ბერძენიშვილს ოქუმის წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ ხელის მოწერის გამართვისათვის, რომლისგან მივიღე ხუთი მანეთი შემდეგ პირებისაგან შემოწირული: ლავრენტი ბერძენიშვილმა 1 მ. ივანე კუკულავამ 50 კ.; ნესტორ სიხარულიძემ 30 კ.; ანტონ სანაიამ 40 კ.; ალექსი სალაყაიამ 30 კაპ.; პავლე გეგენიძემ 50 კ.; სანდრო გოცირიძემ 25 კ.; კოლონიკე გოგოლაძემ 30 კ.; №№—1 მ.; ილარიონ ბერძენიშვილმა 30 კ. და ერმალოზ ბერძენიშვილმა 30 კ.

ოქუმის წიგნ-საცავ-სამკითხველოს გამგე ივანე კ. გეგია.

1896 წ.
15 მარტს.

## შემოწირულება.

დეკანოზის არდაზიანისაგან წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი თუმანი მოგვივიდა.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 აპრილი.

**პეტერბურგი.** 4 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე პეტერბურგიდამ ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული.

**მოსკოვი.** 4 აპრილს შუადღისას მოვიდა საგანგებო მატარებელი საიმპერატორო რეგალიებით.

**ოდესა.** 4 აპრილს დილის $8^1/_2$ საათზე ნავთსადგურში შემოვიდა გემი „სულთანიე“, რომლითაც მოვიდა ბულგარიის მთავარი ფერდინანდი. მთავარს წინდაწინ შედგენილის ცერემონიალის დაგვარად მიეგებნენ. $10^1/_2$ საათზე მთავარი საგანგებო მატარებლით წავიდა ოდესიდამ.

**პარისი.** 3 აპრილს რესპუბლიკის პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი ვერდენს წავიდნენ.

**რომი.** მთავრობამ და კერძო საზოგადოებამ პირობა შეჰკრეს სომალის ეკონომიურის ექსპლუატაციის შესახებ.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ სამხედრო სამინისტროში არავითარი გარდაწყვეტილება არ მომხდარა იმის შესახებ, რომ მომავალს შემოდგომაზედ სუდანში ჯარები გაიგზავნოსო.

„ტაიმს“ს ატყობინებენ სინგაპურიდამ: „ჩინეთში მაჰმადიანთა ამბოხება ძლიერდება. ჰონკონგში ჟამი მძვინვარებს“.

**კაირი.** საკანონმდებლო საბჭოს წევრები უკმაყოფილებას აცხადებენ, რატომ არაფერი გვკითხეთ დონგოლის ექსპედიციისა და სახელმწიფო სავალო კასიდამ ფულების დახარჯვის შესახებაო.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—99).

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 9 აპრილს, დღის 12 საათზედ, მისის თანადასწრებით საჯარო ვაჭრობით იჯარით გაცემულ იქნება: 1) ნაცვლად იმ ვაჭრობისა, რომელიც 2 აპრილს იყო დანიშნული, იჯარით გაიცემა და ოლრო-ჩოლროვებულ ქუჩების გასწორება და მათი ქვით მოფენა, აგრეთვე ქ. ტფილისის მოედნებისა და ქუჩების შესახვევებისა და 2) ქუჩების მორწყვა. პირობები იჯარით გაცემისა მსურველთ შეუძლიანთ ჰნახონ გამგეობის ამშენებელს განყოფილებაში ყოველდღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. (3—6—2)

დაიბეჭდა ახალი წიგნი
შოთა რუსთაველი
შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.

განყოფილება პირველი. ა) შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ევ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ს უ რ ა თ ზ ე. განყოფილება მეორე. ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს თ ხ რ ო ბ ა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ჱ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).

გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

თეთრი და შავი პილპილი

დაფქული, თავ-დაჩვრეტილს კოლოფებში და აგრეთვე ფლაკონებით სტოლისათვის $^1/_{32}$ გირვანქიდგან 1 გირვანქამდის, ამხანაგობის ფაბრიკისა

რ. კელერ და კ-ო მოსკოვში,

ისყიდება ყველა გამოჩენილ ვაჭრებთან ყველგან.

დაფქულს პილპილში სხვასი რისამე შერევა მოგებისათვის ისეთი ხშირი მოვლენაა, რომ ხშირად დაფქული პილპილი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე დაუფქველი. ხოლო ამხანაგობისა რ. კელლერ და კ-ოისა, როგორც ყველამ უწყის, ყოვლად უნაკლულო და საუკეთესოა. (3—1).

ქ. ბათუმი
«თამარის ციხე».

მაქვს პატივი ვაცნობო კეთილშობილ საზოგადოებას, რომ მარტის 15-ა-თავ. კ. მუხრანსკის მამულში

«თამარის ციხეზე»

დაიწყება სახალხო სეირნობა. კვირაში სამჯერ ბაღში დაუკრავს ხორო სამხედრო მუსიკისა. ბაღში იშოვნება ყოველგვარი ევროპიული და ადგილობრივი სასმელები და საჭმელები და სხვა და სხვა ზაკუსკეულობა. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. იმედი მაქვს პატივ-ცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოდ. სიმდაბლით: ბუფეტის პატრონი გიორგი სვიმონის ძე დოლიძე. (6—34—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Апрѣля 1896 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.